

წა ზვრემ ასური

გულის-თქუმითა*

გოველით ყოველნი ძმანი და ისმინეთ ზრახვად ცოდვილისაჲ ამის და უსწავლელისა **ფერუმისი**, და დავს-ხდეთ განკითხვად გულის-სიტყუათა ჩუენთა, რადთა აღვიზილნეთ გულნი ჩუენნი, ვითარ-იგი იტყვან საღმრთონი წიგნნი, უკუეთუ ვალთ ვგრძთ. ჩუმცა ურჩ ვექმნებით სულსა წმიდასა, რომლითა-იგი აღვიბეჭდენით.

ღკუეთუ ვინმე იცის თავისა თვისისაჲ საქმე კეთილი, იწრაფდინ აღორძინებად სიმდაბლითა, რომელ მოიპოვა კაცთ-მოყუარისაგან. ღკუეთუ ცოდვათა შინა ბრალეულ ვართ, ქრისტეს-მოყუარენო ძმანო, აჰა ესერა დღე იგი მოწვეულ არს, ოდეს დაბნელდეს ბრწყინვალეებაჲ იგი შხისაჲ, და ვარსკულაენი გარდამოცუოდიან; ვითარ-იგი ცაჲ, ვითარცა წიგნის-ტყაუი, წარიგრაგნოს, ოდეს-იგი საყვრი დადადებდეს დიდითა და საშინელითა კმითა განღკძრებად ყოველთა სოფლის დაბადებითანთა მკუდართა; ვითარ-იგი მოცალიერდენ საუნჯენი ჯოჯოხეთისანი ბრძანებითა მით მსაჯულისაჲთა, რამეთუ მომავალ არს ქრისტე ღრუბლითა წმიდათა მისთა თანა განშჯად ცხოველთა და მკუდართა და მიგებად კაცად-კაცადსა საქმეთა თვისთაებრ.

ნეშმარითად საშინელ არს მოსლვაჲ იგი ქრისტესი დიდებითა, და საკვრველ იყოს, საყუარელნო, ხილვაჲ იგი: მყის ცანი განხმულნი, და ქუეყანაჲ შეცვალებული, და მკუდარნი აღდგომილნი, რამეთუ წარუდგინებდეს ქუეყანაჲ გუამებსა კაცთასა, რომელნი შეწყნარნეს მას დასაბამითან, და თუ ვინმე მკვეცთა განხეთქეს, გინა თუ მფრინველთა შეჭამეს, გინა თევზთა შთათქქეს, არა დააკლდეს არცაღა თმაჲ ერთი კაცისაჲ, რამეთუ ესევეთარი გუამები თითოეულად მოილონ მსგავსად საქმეთა თვისთაებრ, რამეთუ გუამი კაცისაჲ მოივსენებდეს საქმეთა თვისთა, ხოლო ჩუენ თითოეულად საქმენი თვისნი გუეტვრთნენ თვისითა გუამითა, რამეთუ ფიცხელ ყოფად არს მას ჟამსა განკითხვად საქმეთა ჩუენთაჲ.

ბაღათუ ვინმე სიტყვთა ცოდა ჩუენგანმან, გინა

გულის-თქუმითა, წარმოგიდგეს შენ მას ჟამსა შინა. ოინა თუ კეთილი ჰქმენ, გინა ბოროტი, ხატად ქმულად ჰხედვიდე მას: ვიდრეცა მიჰხედო, იხილო იგი. ღოლო გუამნი იგი მართალთანი გამობრწყინდენ უფროჲს ბრწყინვალეებისა ამის შხისა, ხოლო ცოდვილთანი ბნელსა შინა იყენენ სიმყრალითა სავსენი.

ოიწრაფოთ, საყუარელნო, განრინებად ყუედრებისა მისგან და საშინელისა სირცხვლისა, რომელი-იგი შემთხუევედ არს მას ჟამსა ყოველთა ცოდვილთა, და ვიყუნეთ მიახლებულ კეთილთა მათ, რომელ-იგი განუშადა ღმერთმან ყოველთა მართალთა, რომელ-იგი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა და არცა გულსა კაცისა ცოდვილისასა მოკდა, რომელსა-იგი ანგელოზთა გული-უთქუამს ჭვირობად.

ოაჟამს გარდამოკდა ქრისტე ზეციით, მყის ცეცხლი უშრეტი წინაშე პირსა მისსა რბიოდის პირისპირ მსაჯულისა მის და დაფაროს ყოველი ქუეყანაჲ ერთბამად. ღოლო ხატ არს ესე ცეცხლისა მის უშრეტისა, რამეთუ ვითარცა მას ჟამსა წყალთა მათ დაფარნეს თავნი მათანი, ვგრე სახედ მერმეცა ცეცხლმან მან დაფაროს ყოველი დაბადებული. მოს ჟამსა მიმოდარბიოდიან ყოველთა ადგილთა ანგელოზნი და აღიტაცებდენ ყოველთა წმიდათა და მორწმუნეთა დიდებით ღრუბლითა მიგებებად ქრისტესსა.

წრთხილ ვიყვნეთ ამიერიტგან, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რადთა ვიპოვნეთ ღირსად აღტაცებასა მას და წარდგომად შეუგინებელად და უბრალოდ მას ჟამსა შინა წინაშე შესაძრწუნებელსა და საშინელსა საყდარსა. ჩეტარ არს იგი, რომელი ღრუბლითა მიგებვოდის მეუფესა მას დიდებისასა. ღოლო სამ-გზის უბადო არს, რომელი დააკლდეს აღტაცებასა მას, რამეთუ რომელნი-იგი არა აღიტაცნენ დიდებით ღრუბლითა, აუწყებს მათ, რამეთუ არიან უღმრთო და ცოდვილ. ჩუმცა უდებ ვართ, ქრისტეს-მოყუარენო ძმანო, არამედ ვიდრე-ესე გუაქუს ჩუენ ჟამი, ვსძლოთ მომსრველსა მას ვნებასა კორცთასა და სულ-

* საკითხუი წიგნი ძველ ქართულ ენაში I, გამოსცა ივ. შნაიშვილმა, თბ., 1963. წგ. 45-47.

თასა, ვსძლოთ გულის-თქუმასა, ვითარცა გონიერმან **იოსებ**, ნუ ხოლო ვორციითა, არამედ გულის სიტყვთაცა, რამეთუ სრულსა მას კაცსა ესრცით უღირს გონიერებად. ⁵ ჩამეთუ რომელმან მიჰხედოს დედაკაცსა გულის-თქუმითა, მან ისიძვა გულსა შინა თვისსა. ¹⁰ **ბადათუ** ვორციანი იგი საქმენი მრავლითა მიზეზითა მრავალ-გზის მოჰკუეთს, არამედ გონებითა უშიშად შეეწვეინ და დაუცხრომელად აღასრულებნ, რომლისათვის-ესე ვიტყვ, მგობარნო ჩემო.

ძრავალ-გზის ჩუენგანმან მიჰხედნა დაუცხრომელად და დაიდვა გულის-სიტყუასა თვისსა და თანა-წარჰკდა ადვილად. ¹⁵ შიემსგაგსა ესევითარი იგი ქურციკსა ისარ-ცემულსა, რომელ-იგი დადათუ ხელსა მონადირეთასა განერის, არამედ ისარ-განწონილივე წარივლტინ იგი. ²⁰ **აკუეთუ** ვინმე დღისი ისიძვა გულის-სიტყვთა, ესევითარი არღარა სრულ არს ღმრთისა მიმართ, არამედ გინა შიშისათვის, გინა სირცხვლისათვის კაცთადასა, ხოლო გუამი იგი სულისა მისისა თანავე განივრწნა. ²⁵ **გევითარი** იგი არღარა სრულიად გვრგვნოსან იქმნეს, არამედ, ვითარცა კაცთსათნოდ, იგუემებოდის დაუცხრომელად, არა თუ შეინანოს. **აკუეთუ** ვინმე შეიჰყრას და დაეცეს თვისითა გულის-სიტყვთა, **ვევითარმან** მან განიკურნენ წყლულებად თვისი სინანულითა.

თივლტოდით ჩუენ, ძმანო, ბოროტისაგან გულის-თქუმისა, რამეთუ ამან განაშიშულა ღიდები-

საგან **ვა**, რამეთუ გული-უთქუმიდა ჭამად მცირისა საჭმლისა. **შმისთვსცა** წყლით-რღუნად მოკდა სოფლად, რამეთუ იხილეს ძეთა მათ ღმრთისათა ასულნი იგი კაცთანი და გარდამოკდეს მათა და შეიგინნეს ურცხვნიოდ. **შმან მგვებტელი** იგი დედაკაცი აღაბორგა **იოსების** მიმართ გონიერისა. **ხოლო** ჭაბუკსა მას ღმრთისა ეშინოდა და სძლო ასპიტსა მას, შეგდებულსა მის თანა. **შმან მკნც** იგი **სამსონ** უძლეველი წარტყუენა, რომელმანი იგი პირველად განხეთქა ლომი მძორის-მჭამელი და მოსრა ათასი დაწკთა ვირისადათა. **ბა** რამეთუ ინება იქედნისა მის თანა დამკვდრებად, მყის თმანი იგი მკნისა მის დასცვვეს, და თუალნი აღმოეზადნეს მას საწყალობელად, და საცინელად ყოველთა შორის გამოჩნდა.

სტრეცა დაფით ურია გულის-თქუმითა მოკლა. **ბა** გულის-თქუმითა ვენა ვისადათა **ნაბუთუ** მოკლეს. **შმან** უბადოსა მას **იუდას** მიცემად სცა ქრისტე. **ჩეტარ** არს მის კაცისა, ძმანო ჩემო საყუარელნო, რომელი მძლე ექმნეს გულის-თქუმასა სმენით და მიხედვით, მიახლებით და ყნოსით, და მოიპოვა გვრგვნი სიმართლისადა და მოილო მან ესე წინაშე საყდარსა მას მსაჯულისასა.

ძოვედით ყოველნი და თაყუანის-ვსცეთ მას და ერთითა პირითა უგალობდეთ და ვიტყოდით: **ალელუია!** მოვედით ყოველნი ძმანი და ვადიდებდეთ ქრისტესა, რამეთუ მისი არს ღიდებად უკუნითი უკუნისამდე. **შმენ**.

